ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N85

ქ.თბილისი

23 ივლისი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

გიორგი ბირბიჩაძე

ოთარ გრიგოლია

გიორგი დოხტურიშვილი

გიორგი მუსხელიშვილი

შალვა ოგბაიძე

ლევან ჟორჟოლიანი

ნინო რუხაძე

დავით უთმელიძე

გიორგი ჩაკვეტაძე

ვლადიმერ ძნელაძე

ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

ილია ჯიშკარიანი

ლევან არველაძე

გულია გოცირიძე

ლევან დარახველიძე

ანა ლაშხი

თინათინ ნიბლოშვილი

ვაჟა ოთარაშვილი

დათო რურუა

რევაზ სოხაძე

ვახტანგ შაქარიშვილი

ავთანდილ ცინცაძე

დავით ჭელიძე

ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ დღეს, ტოკიოში, გაიხსნა ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები, ქართველ ოლიმპიელებს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ქართველი სპორტსმენები ამ ოლიმპიადაზე „საქართველოს ჰიმნს არაერთხელ ააჟღერებენ". მან, ასევე, ისაუბრა თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ქართული სპორტის მხარდაჭერისთვის განხორციელებულ პროექტებზე და განაცხადა, რომ „კორონა ვირუსის - COVID-19"-ის პანდემიის მიუხედავად, წლის განმავლობაში, არ შეჩერებულა არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, არ გაჩერებულა მწვრთნელების, სპორტსმენების, სხვადასხვა კლუბებისა და ფედერაციების მხარდაჭერა. მისი თქმით, მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი - თბილისის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით გულისხმობს მუხლებს შორის თანხების გადანაწილებას ისე, რომ მეტი თანხა და რესურსი მოხმარდეს ახალგაზრდული პროექტების განხორციელებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მეორე - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში წარმოდგენილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კიდევ უფრო დიდი რესურსი იქნება მობილიზებული პარასპორტსმენების და ქალი სპორტსმენების მხარდასაჭერად.

გიორგი ტყემალაძემ წარმატებები უსურვა ქართველ სპორტსმენებს და იმედი გამოთქვა, რომ წლევანდელ ოლიმპიადაზე ისინი არაერთ მედალს მოიპოვებენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა ჯაყელი

5. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრების ცვლილების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N86ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.027.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 1053 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.002.115) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N2-ში და კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.005.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.566 და N01.11.05.029.072.01.567) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის I შესახვევში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.009.002.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1276) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.065.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, ზონა IV, N10; ქალაქ თბილისში, თოფურიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/169); ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 10ბ-ს მიმდებარედ არსებული 1391 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.337) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქ.თბილისში, 26 მაისის N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის (ს/ნ.: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქ.თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.570) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბი ჯი ბი გრუფისთვის“ (ს/კ.: 404607314) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის “ (ს/კ.: 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქ.თბილისში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

25. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „დეველოპმენტ გრუპ“-ის (ს/ნ.: 406155618) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.N47 (ს/კ.: N01.12.20.030.027) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

26. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (ს/ნ.: 202161098) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ. (ნაკვეთი N2/40); დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბაღის და ავტოგასამართ სადგურს შორის (ნაკვეთი N2-72) (ს/კ.: N01.11.13.002.072) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

27. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ლისი საიდი“-ს (ს/ნ.: 405343711) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი,

ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ს/კ.: N01.10.18.011.115) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

28. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „მაზა"-ს (ს/ნ.: 401987374) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ.N22 (ს/კ.: N01.10.06.001.281) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

29. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „მხატვრები"-ს (ს/ნ.: 405419408) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ვალენტინ თოფურიძის ქ.N19 (ს/კ.: N01.10.18.006.226) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

30. „ქ.თბილისში, დ.გურამიშვილის გამზირი N64 (ს/კ.: N01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ამხანაგობა „ღრმაღელეს" (ს/ნ.: 100189911) და შპს „არქი გურამიშვილი"-ს (ს/ნ.: 405422591) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

31. „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას" (ს/ნ.: 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

32. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ედემის" (ს/ნ.: 405098727) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ.N54 (ს/კ.: N01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

33. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ოპტიმას" (ს/ნ.: 404583036) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქ.N13 (ს/კ.: N01.72.14.014.962) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

34. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „პრაიმ ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ.: 406291212) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ქუჩა წულუკიძე N15 (ს/კ.: N01.17.10.012.158) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებებისგამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

35. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ტაგი გრუპის" (ს/ნ.: 405406145) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ (ს/კ.: N01.10.08.006.627) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. „ქ.თბილისში, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ.: N01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ.N49 (ს/კ.: N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ.: N01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ.: N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ.: N01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ.: 204531499), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ.: 204460957), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ.: 202446246) და შპს „იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ.: 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

37. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

38. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

39. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ. N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

40. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.977) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

41. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

42. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

44. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

45. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

46. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

47. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

48. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი, კვარტალი III-ისთვის ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

49. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

50. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის თამარ მეფის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

51. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

52. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N235 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

53. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, შემოსავლების ნაწილში, 42450000 ლარით, 42450000 ლარით იზრდება დამატებითი ღირებულების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი იზრდება 6000000 ლარით, 10000000 ლარით იზრდება შემოსავალი სხვა მართვის უფლებების გადაცემიდან და 1000000 ლარით იზრდება პრივატიზების შემოსავალი. 25000000 ლარით მცირდება სპეციალური კაპიტალური ტრანსფერები, თუმცა ჯამურად თბილისის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იზრდება და ეს თანხა გადანაწილებულია ფაქტობრივად ყველა მიმართულებით.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი დეტალურად განიხილა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ. განაცხადა, რომ პრიორიტეტები კარგადაა გადანაწილებული და იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის ათვისება მოხდება წარმატებით და მოსახლეობის საჭიროებისამებრ.

ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდა ძირითადად განპირობებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისა და სათამაშო ბიზნესის შემოსავლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისში ეკონომიკური ცხოვრება უბრუნდება ჩვეულ რეჟიმს და იმედი გამოთქვა, რომ თბილისის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ და განმარტა, რომ ცვლილება გულისხმობს პარასპორტსმენების და ქალი სპორტსმენების დამატებით წახალისებას. კერძოდ, აქამდე პრიზირება მოქმედებდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე წარმატებისთვის, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, როგორც ქალი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენები შესაბამისი თანხებით წახალისდებიან საქართველოს პირველობაზე მიღწეული წარმატებისთვის. ასევე, შესაძლებელი გახდება ორივე მიმართულების სპორტული კლუბების მხარდაჭერა როგორც ინვენტარის, ასევე იჯარის თანხის ანაზღაურების კუთხით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილებასთან ერთად, წარმოდგენილია ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალურ თავშესაფარში მისულ ბენეფიციართან, ორწლიანი ხელშეკრულების ნაცვლად, გაფორმდება სამწლიანი ხელშეკრულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელმა და განმარტა, რომ საქართველოს სივრცით დაგეგმარების, არქიტექტურული და საამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, საჯარო ზედამხედველობის ორგანოს, მიენიჭა უფლებამოსილება, რომ თბილისის ადმინსტრაციული საზღვრის ტერიტორიაზე განახორციელოს სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობების ექსპლუატაციაში მიღება, რისთვისაც საჭირო გახდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების შემუშავება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ 2018 წლის 27 ნოემბერს, თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო 15000000 ევროს სესხი, რომელიც უნდა მოხმარდეს „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განახლებას და გადამტვირთი სადგურისა და ლილოს ნაგავსაყრელის მოდერნიზებას. წინასწარი კვლევების დასრულების შემდგომ, ნათელი გახდა, რომ გამოყოფილი თანხა არასაკმარისია ლილოს ნაგავსაყრელის სრულად მოდერნიზებისთვის და აქედან

გამომდინარე, საჭიროა სესხის თანხის გაზრდა 18030000 ევრომდე და ასევე, პროექტის დასრულების ვადის გადაწევა 2023 წლის პირველ დეკემბრამდე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ორი წლის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო ლილოს ნაგავსაყრელის მოდერნიზება, თუმცა ამ მიმართულებით დღესაც იგივე მდგომარეობაა. მისი თქმით, ორი წლის შემდეგ, გვაქვს ის რეალობა, რომ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა დამატებით სამი მილიონი ევრო, ტექნიკური პირობების შედგენა ვერ მოხერხდა ისე, რომ ჩატარებულიყო ტენდერი და ათვისებულიყო სესხის თანხა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ მოხდა ასე და მოითხოვა დეტალური განმარტებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ ნაჟური წყლების შემკრები ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩავარდა ერთი ტენდერი, რომელიც გამოცხადებული იყო კონკრეტულ თანხაზე. ამის შემდეგ, თანხა გაიზარდა 14 მილიონამდე, რომლის გადახედვაც მოინდომა თავად იბიარდის ექსპერტმა, რის შემდეგაც შეცვალეს ესპერტი და თანხა ისევ შემცირდა 7300000-მდე. დღეის მდგომარეობით, ტენდერს გავლილი აქვს იბიარდის პროცედურის პირველი ეტაპი და მეორე ეტაპზეა. ასევე ხორციელდება თვითმცლელი მანქანების მოდერნიზაცია, რასთან დაკავშირებითაც ტენდერი უკვე ჩატარებულია და მანქანების მოწოდება განხორციელდება წლის ბოლომდე. გიგა გიგაშვილმა აქვე განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული სესხი ითვალისწინებს ასევე რამდენიმე კომპონენტს, მათ შორისაა მყარი ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომელიც უკვე მზად არის და წლის ბოლოს, დასამტკიცებლად, წარედგინება საკრებულოს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარების საკითხი, მათ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების მიმართულებითაც, ითხოვს დეტალურ განხილვას და აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა შედგეს შეხვედრა შესაბამის სამსახურებთან და ამ თემასთან დაკავშირებით არსებულ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრების ცვლილების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებიდან გადის დაახლოებით 2700000 კვ.მ. ტერიტორია და გადაეცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტს. აღნიშნული საკითხის წარმოდგენის მთავარი საფუძველი არის შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენსის“ მომართვა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ახორციელებს საინვესტიციო პროექტს. შპს-მ 2014 წელს, სახელმწიფოსგან, პრივატიზების გზით, შეიძინა აღნიშნული მიწის ნაკვეთი, როგორც გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სოფელი თელეთი. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი საზღვრების მიხედვით, ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ექცევა თბილისის მუნიციპალიტეტში. კომპანიის მოტივაცია არის ის, რომ მშენებლობის ნებართვის მოპოვების, ადმინისტრირებისა და კომუნიკაციის პროვაიდერებთან ურთიერთობის კუთხით, ურთიერთობა შეინარჩუნოს ერთ მუნიციპალიტეტთან და ეს იყოს გარდაბნის მუნიციპალიტეტი, იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთი ნაყიდი აქვს, როგორც გარდაბნის ტერიტორია. საუბრის ბოლოს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მომართვის გათვალისწინებით, ინვესტიციების

წახალისებისა და კომპანიის მხრიდან პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, მუნიციპალიტეტის მთავრობამ თანხმობა განაცხადა საზღვრების კორექტირებაზე.

გიორგი ბირბიჩაძე დაინტერესდა, რატომ ურჩევნია კომპანიას გარდაბნის მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა და ადმინისტრირების კუთხით ხომ არ აწყდება რაიმე პრობლემებს თბილისში.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ კომპანიას მიწის ნაკვეთი ნაყიდი აქვს, როგორც გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, თუმცა, შემდგომ აღმოჩდა, რომ ტერიტორიის ნაწილი ეკუთვნის თბილისის მუნიციპალიტეტს. აღნიშნული გაუგებრობა გამოწვეული იყო იმით, რომ იმ პერიოდში მიმდინარეობდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და ახალ რეგულაციებზე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ინვესტიცია არ არის პატარა, რაც გარდაბნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, ამასთანავე, ამ ფაქტის არარსებობის შემთხვევაშიც, დასადგენია საზღვრები, რადგან ამ მიმართულებით არის გარკვეული ხარვეზები. აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაწყებულიყო მუშაობა ამ მიმართულებით.

მარიამ კვერნაძის თქმით, გარდა იმისა, რომ კომპანიამ მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსგან იყიდა, როგორც გარდაბნის ტერიტორია, ორ მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა, პროექტის განხოციელებისთვის, საკმაოდ რთულია.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხზე საკრებულოს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილების 90% და ხსენებული ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე ეკუთვნის გარდაბნის მუნიციპალიტეტს. თუმცა, შემდგომ, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს კოორდინატების დადგენაში არ დაეხარჯა თანხა, ამის გაკეთება მოსთხოვა კომპანიას. აღმოჩნდა, რომ დემარკაციის პერიოდში, გარკვეულ საკადასტროებზე კოორდინატები არასწორად იყო დადგენილი და შესაბამისად, ამ ეტაპზე, წარმოდგენილია რეალური დემარკაციის შესწორება. რაც შეეხება ორ მუნიციპალიტეტთან ურთიერთობას, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც თბილისში, ასევე გარდაბანში უნდა მოხდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება და სამშენებლო ნებართვების გაცემა. ამასთანავე, სივრცით დაგეგმარების ახალი კოდექსი გავრცელდა გარდაბანზე და არა თბილისზე, რის გამოც კომპანიას, გეგმარებაზე აწყობილი მთელი ინვესტიცია უნდა გადმოეწყო თბილისზე. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისში, ზოგადად, არის საზღვრების პრობლემა, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2006 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ დადგენილება, სამწუხაროდ, დაუსრულებელი კვლევის შედეგად, საზღვარი გაატარეს ისე, რომ გარდაბანსა და თბილისს შორის მდებარე სოფელი ელფია არ მოექცა არც ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამის გამო, მოსახლეობა ვერ სარგებლობს მუნიციპალური სერვისებით. მისი თქმით, თბილისის საკრებულოს და საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი საზღვრები ერთმანეთს არ შეესაბამება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის დადგენილებას აქვს უპირატესი ძალა, საჯარო რეესტრი ხელმძღვანელობს პარლამენტის მიერ დადგენილი საზღვრებით და შესაბამისად, კომპანია, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროსგან იყიდა ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთი, დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტერიტორია იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, მუშაობა მიმდინარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტშიც და თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, სამთავრობო კომისია საქართველოს პარლამენტში დააინიცირებს ახალი საზღვრების შესახებ დადგენილების პროექტს, რომლითაც გასწორდება არსებული უზუსტობა. მისი თქმით, საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებით პრობლემაა ასევე სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაშიც და ამიტომ საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გამოიყოს თანხები და ყველა იმ მუნიციპალიტეტთან, რომელთანაც თბილისს აქვს მსგავსი პრობლემა, განხორციელდეს

დემარკაცია თითო-თითო საკადასტროზე, რის შემდეგაც გადაწყდება, ესა თუ ის ტერიტორია ეკუთვნის თბილისს თუ სხვა მუნიციპალიტეტს.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე თბილისის მუნიციპალიტეტი იხსნის უფლებებს და დაინტერესდა, როგორ გადანაწილდება მუნიციპალური მოვალეობები, კერძოდ, ვისი ვალდებულება იქნება საგზაო თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების მიწოდება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ გზის მოწყობიდან დაწყებული, კომუნიკაციების ჩათვლით, ყველა კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების ვალდებულება კომპანიამ აიღო საკუთარ თავზე და შესაბამისად, თბილისის ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით თანხა არ დახარჯულა და არც მომავალში დაიხარჯება.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ნამდვილად რთულია ორ მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა სანებართვო პირობებთან დაკავშირებით, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, არ წარმოიშვას ამ ტერიტორიის ისევ თბილისისთვის დაბრუნების საკითხი, რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერ ისარგებლებს იმ სიკეთეებით, რაც აქვს თბილისის მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, სამომავლოდ, ცალსახა უნდა იყოს ის, რომ ხსენებული ტერიტორია არასდროს დაუბრუნდება თბილისს, რადგან მისი მომსახურება საკმაოდ ძვირი დაუჯდება დედაქალაქს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას არა საზღვრების ცვლილებაზე, არამედ, გარდაბნის მუნიციპალიტეტთან ერთად, შუამდგომლობით მიმართოს მთავრობას. ამის შემდეგ, მთავრობა შექმნის კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს საქართველოს პარლამენტს გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, აღნიშნული პროცედურა არის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი და ტერიტორიის თბილისისთვის დაბრუნებაზე გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერ მიიღებს ვერც საკრებულო და ვერც პარლამენტი.

ლევან ჯაფარიძემ (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე) განაცხადა, რომ ხსენებული ტერიტორია შედის კრწანისის რაიონის საზღვრებში და მისთვის, როგორც ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატისთვის, ძალიან ძვირფასია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც რელიეფის და არც ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ახლოს არ არის კრწანისთან და აქედან გამომდინარე, კრწანისის რაიონი ამ ტერიტორიის მოვლა-პატრონობას ვერ შეძლებს. ლევან ჯაფარიძემ, იქიდან გამომდინარე, რომ დემარკაციის პროცესი დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფინანსებთან, გამოთქვა მოსაზრება, რომ დემარკაციის განხორციელებამდე, ის ტერიტორიები, რომლებიც გაურკვეველია თუ რომელ მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, დაბრუნდეს ძველი საზღვრების ფარგლებში.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ეს საკითხი არ არის მხოლოდ თბილისის გასაკეთებელი საქმე, აღნიშნული უნდა განვიხილოთ, როგორც „ინტერმუნიციპალური პრობლემა“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან რეგიონალურ განვითარებაზე და მათ შორის, მსგავსს საკითხებზე, პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საკრებულო უნდა მოელაპარაკოს სწორედ აღნიშნულ სამინისტროს და მოხდეს დაფინანსების გამოყოფა ამ მიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის, რაც შესაბამისი დარგის სპეციალისტების თქმით, არის ორ-სამ მილიონიანი მომსახურება, რომელსაც ახორციელებს კონკრეტული კომპანია.

გიორგი ტყემალაძე დაეთანხმა ლევან ჟორჟოლიანს და განაცხადა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა იწურება რამდენიმე თვეში და მომავალმა საკრებულომ და თბილისის მთავრობამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, უნდა იმსჯელოს აღნიშნულზე და მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან, თუნდაც რამდენიმე ოჯახის პრობლემის მოგვარებისთვის ღირს ამ თანხის გაღება. გიორგი ტყემალაძის თქმით,

მომავალი საკრებულოსთვის ერთ-ერთი პირველი განსახილველი თემა უნდა იყოს სწორედ თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული საკითხი, რადგან, მისი თქმით, თუ დღეს საუბარია ერთ სოფელზე, რომელიც არ შედის არც ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებში, როგორც კი ამ თემაზე დაიწყება მუშაობა, შესაძლოა გამოჩნდეს კიდევ არაერთი სოფელი, რომელსაც აქვს მსგავსი პრობლემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაახლოებით 41 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 50 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N86ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.027.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 94 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 1967-77 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 1053 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.002.115) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

გიორგი დოხტურიშვილმა პროექტის წარმოდგენისთვის მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს, ასევე მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს და რევაზ სოხაძეს თანადგომისთვის. მისი თქმით, ვარკეთილის III მასივში დღემდე არ არის მოქმედი ტაძარი და წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის გადაცემა საპატრიარქოსთვის, ეკლესიის მშენებლობის მიზნით, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 129 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის, რომელთაგან ნაწილი 2002, ხოლო ნაწილი 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N2-ში და კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 158 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც 1993-2002 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.005.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 129 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც 1998-2002 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 287 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის, რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.566 და N01.11.05.029.072.01.567) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ.-მდე ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომელთაგან ერთი 1991, ხოლო მეორე 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის I შესახვევში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.009.002.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35.72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1276) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 13.26 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 20 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 29.3 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 20 წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.065.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74.22 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 28 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, ზონა IV, N10; ქალაქ თბილისში, თოფურიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/169); ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 10ბ-ს მიმდებარედ არსებული 1391 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.337) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ

კვერნაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ვაშლიჯვარში და შეადგენს დაახლოებით 1391 კვ.მ.-ს, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს ვარკეთილის IV მიკრო რაიონში, კორპუსი 409-ის მიმდებარედ და მისი ფართია 1069 კვ.მ. მონაცვლეობის საფუძველი არის ის, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს და მომიჯნავე ტერიტორიებზე მაცხოვრებლების საცხოვრებელ გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სამშენებლოდ განვითარებადი ზონა და განხორციელებული იყო გარკვეული სამშენებლო სამუშაოები, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან და ქ.თბილისის მუნიციპლიტეტის მერიის პოლიტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. მარიამ კვერნაძემ აქვე აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 71000 ლარს, რომელსაც გადაიხდის კერძო მესაკუთრე.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ ახალი გენ.გეგმის დამტკიცების შემდეგ, ბევრ კერძო მესაკუთრეს შეექმნა მსგავსი პრობლემა. მისი თქმით, ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი გამოხატავს სამართლიან და ადეკვატურ პოზიციას, როდესაც არ აძლევს არასწორი ურბანული განვითარების საშუალებას, თუმცა, ამავდროულად, ილახება კერძო მესაკუთრის უფლებები და დაინტერესდა, როგორ ხდება პრიორიტეტიზაცია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისას, დაახლოებით რამდენი მსგავსი შინაარსის განცხადებაა მერიაში შეტანილი და რა ვადაშია დაგეგმილი ამ საკითხების ამოწურვა.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება, მასიურად დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები. რაც შეეხება პრიორიტეტიზაციას, აღნიშნა, რომ საკითხი კომპლექსურია, რადგან ის მიწის აქტივი, რომელიც მოიაზრება მონაცვლეობისთვის, ეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ფონდი საკმაოდ შეზღუდულია, კერძო მესაკუთრეებისგან ხშირია უკმაყოფილება. რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია ისიც, თუ ვინ მიმართა მუნიციპალიტეტს პირველმა, თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად სწრაფად ექნება განმცხადებელს რეაგირება მუნიციპალიტეტის შეთავაზებაზე და რამდენად მოქნილი იქნება მასთან ურთიერთობაში. მარიამ კვერნაძემ განცხადებების რაოდენობაზე, აღნიშნა, რომ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირებულია მომართვიანობა და იქიდან გამომდინარე, რომ ქონების მართვის სააგენტოში მიწის მონაცვლეობის საკითხებზე სამუშაოდ შეიქმნა ცალკე სამმართველო, გაცილებით ეფექტურად გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ სტრუქტურირება ემსახურებოდა სწორედ იმას, რომ პროცესი ყოფილიყო სისტემური, თუმცა, ძალიან ბევრი მაგალითია იმისა, რომ მიწის მონაცვლეობის საკითხი შეჩერებულია კერძო მესაკუთრეების მხრიდან. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, ამ მიმართულებით დაცული იქნება პრეცედენტულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გარკვეულ არეალში მონაცვლეობა განხორციელდება თუნდაც ერთ კერძო მესაკუთრესთან, ზუსტად იგივე პრინციპის დაცვით განხორციელდება მონაცვლეობა ყველა სხვა კერძო მესაკუთრესთანაც.

ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ძალიან ბევრ ადამიანს წაართვეს მიწის ნაკვეთები, რომლებიც დღეის მდგომარეობით ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. მისი თქმით, ბევრ მათგანს, აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებაც აქვს და საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ მიწის ნაკვეთს ითხოვენ არა იმავე ტერიტორიაზე, არამედ თბილისის ტერიტორიულ ზონაში და მიმართა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელს, რომ ასეთ ადამიანებს მიექცეთ ყურადღება.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ქონების მართვის სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს რაიმე მოთხოვნა, თუ დანაშაულის ფაქტი დადასტურებული არ არის

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც შემდგომ, შედეგობრივად, მოჰყვება ან ზიანის ანაზღაურება, ან მიწის დაბრუნება და ა.შ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს შეჩერებული აქვს ისეთი მიწის ნაკვეთების განკარგვა, რომლებზეც ჯერ სამართლებრივი შედეგი არ არის დამდგარი, რათა შემდგომ არ მოუწიოს მეპატრონისთვის უკან დაბრუნება.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას ვერ იღებს კანონმდებლობიდან გამომდინარე. თუმცა, მაქსიმალურად ოპერატიულად მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია მიწის მონაცვლეობის საკითხები ხშირად არ არის წარმოდგენილი საკრებულოს სხდომაზე, თუმცა მრავლად განიხილება ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, რადგან იქ სადაც ურბანულად შესაძლებელია ზონის სტატუსის დაბრუნება, მიწის მონაცვლეობა არ ხდება. მისი თქმით, მონაცვლეობისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ მიწის ნაკვეთებს, სადაც გაცემულია გაპი ან მშენებლობის ნებართვა და მოსახლეობის ან ქალაქის აზრით, დაუშვებელია მშენებლობა. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა ვაჟა ოთარაშვილის მიერ ხსენებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და აღნიშნა, რომ სანამ სამივე ინსტანციის სასამართლო არ დაადასტურებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან იყო უხეში ჩარევა, ქონების მართვის სააგენტო ვერ მიიღებს რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, 26 მაისის N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის (ს/ნ.: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.570) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბი ჯი ბი გრუფისთვის“ (ს/კ.: 404607314) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის “ (ს/კ.: 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მიწის ნაკვეთის გადაცემა, თითქოს უპრობლემო საკითხია, თუმცა, ალ.ყაზბეგის გამზირზე, კაფე „კანაპეს“ სრულად გადაკეტილი აქვს საფეხმავლო გზა, რაც დაუშვებელია, რადგან მოქალაქეებს უწევთ სამანქანო გზაზე გადასვლა და განაცხადა, რომ შესაბამისმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

მარიამ კვერნაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდის როგორც სააგენტოს უფროსს, ასევე მუნიციპალურ ინსპექციას. მისი თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელშეკრულები ვალდებულებაა, ღია კაფე მოეწყოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ფეხით მოსიარულეებს. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მოიჯარე გამცდარია თავის უფლებამოსილებას, რასაც მუნიციპალიტეტის მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

გიორგი დოხტურიშვილის თქმით, ვარკეთილის მეტროში, ესკალატორის ამოსასვლელთან იჯარით გაცემულია ტერიტორია, სადაც დგას ჯიხური, რომელიც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებს და ვარკეთილის მეტროში, ესკალატორის ამოსასვლელთან იჯარით გაცემულია ტერიტორია, სადაც დგას ჯიხური, რომელიც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებს და დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა იჯარის ხელშეკრულების შეჩერება და რა შეიძლება გაკეთდეს ამ შემთხვევაში.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ახალი რეგულაციებით, მეტროსთან, გარკვეულ არეალში, დაუშვებელია ჯიხურების განთავსება და საკმაოდ მკაცრია არქიტექტურის სამსახური ამ მიმართულებით. მეტრო არის პირველი კლასის შენობა-ნაგებობა, რომელიც ყოველწლიურად ითვალისწინებს თანხმობის განახლებას და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არის ძველი გაცემული ნებართვა. ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხი მოითხოვს დეტალურად შესწავლას, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზების ძიება.

ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ, წიგნებით მოვაჭრეებისთვის მოაწყო კონსტრუქციები წიგნების განსათავსებლად და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ მსგავსი ტიპის კონსტრუქცია ასევე მოაწყოს რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე.

გიორგი ტყემალაძემ უპასუხა ვაჟა ოთარაშვილს, რომ დააზუსტებს, თუ რომელი სამსახურის კომპეტენციაში შედის აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა და მიაწვდის ინფორმაციას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მოსაპირკეთებელი ობიექტებისთვის მობილიზებული თანხის გამოყენება შესაძლებელი იქნება ასევე სადემონტაჟო და ასაშენებელი ობიექტებისთვისაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ სააკაძის ობიექტთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ააშენოს არა ინვესტორმა, არამედ ქალაქმა იმ სახსრებით, რომლის მობილიზებაც მოხდა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „დეველოპმენტ გრუპ“-ის (ს/ნ.: 406155618) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.N47 (ს/კ.: N01.12.20.030.027) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „დეველოპმენტ გრუპი“ 123678 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ,

კომპანია, დადიანის ქუჩა N47-ში არსებულ მშენებარე ობიექტზე, მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 4.6-დან 5.6-მდე, რაც ნიშნავს ორი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (ს/წ.: 202161098) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ. (ნაკვეთი N2/40); დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბაღის და ავტოგასამართ სადგურს შორის (ნაკვეთი N2-72) (ს/კ.: N01.11.13.002.072) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" 793452 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" პროექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ვისოლის ბენზინგასამართ სადგურზე, მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 3.5-დან 8.0-მდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ლისი საიდი"-ს (ს/წ.: 405343711) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ს/კ.: N01.10.18.011.115) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა,

რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ლისი საიდი“ 109000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.1-დან 2.7-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „მაზა“-ს (ს/ნ.: 401987374) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ.N22 (ს/კ.: N01.10.06.001.281) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „მაზა“ 72000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი თანხით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 4.6-დან 5.1-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „მხატვრები“-ს (ს/ნ.: 405419408) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ვალენტინ თოფურიძის ქ.N19 (ს/კ.: N01.10.18.006.226) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „მხატვრები“ 111672 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ვალენტინ თოფურიძის ქ.N19-ში მდებარე ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.5-დან 3.5-მდე, რაც ნიშნავს სართულიანობის განსაზღვრას მაქსიმუმ 12 სართულამდე.

ვაჟა ოთარაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საკრებულოს წევრებს გაითვალისწინონ როგორც ქართველი, ასევე ევროპელი ექსპერტების დასკვნები თბილისის სეისმომედეგობასთან დაკავშირებით, რადგან, მისი თქმით, ყველა ზევით ჩამოთვლილ ტერიტორიაზე დაუშვებელია 5-6 სართულიან შენობებზე მაღალი კორპუსების მშენებლობა და არ აღმოჩნდეს ისე, რომ მოსახლეობას შეექმნას პრობლემები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისში, დ.გურამიშვილის გამზირი N64 (ს/კ.: N01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ამხანაგობა „ღრმაღელეს“ (ს/ნ.: 100189911) და შპს „არქი გურამიშვილი“-ს (ს/ნ.: 405422591) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ ეტაპზე წარმოდგენილია მცირე ტექნიკური დაზუსტებები, რომლებიც გულისხმობს განმცხადებლისთვის, პროექტირების ეტაპზე, გარკვეული გამონაკლისების მინიჭებას, რომლებიც არ არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არსებითი მოთხოვნები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

31. „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას“ (ს/ნ.: 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ისევე, როგორც წინა პროექტში, ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია გარკვეული დაზუსტებები, კერძოდ, არქიტექტურის სამსახურმა, პროექტირების ეტაპზე კ2 კოეფიციენტში გაითვალისწინა გათბობის საქვაბეები. თუმცა, შემდგომ, იქიდან გამომდინარე, რომ ის კანონმდებლობა,

რომლითაც მოხდა პროექტების შეთანხმება, არ განსაზღვრავს საქვაბეების შეტანას კ2 კოეფიციენტში, კომისიაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ გათბობის საქვაბეები არ იქნას გათვალისწინებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

32. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ედემის" (ს/ნ.: 405098727) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ.N54 (ს/კ.: N01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ედემი" 500000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, გიორგი ბრწყინვალის ქ.N54-ში მდებარე ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.5-დან 4.3-მდე, რაც ნიშნავს სართულიანობის განსაზღვრას მაქსიმუმ 14 სართულამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

33. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ოპტიმას" (ს/ნ.: 404583036) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქ.N13 (ს/კ.: N01.72.14.014.962) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ოპტიმა" 83829 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის"

ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, სოფელ ზურგოვანში, ასი ათასი მოწამის ქ.N13-ში მდებარე ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 0.4-ით, რაც ნიშნავს ერთი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

34. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „პრაიმ ინვესტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 406291212) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ქუჩა წულუკიძე N15 (ს/კ.: N01.17.10.012.158) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებებისგამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „პრაიმ ინვესტ ჯგუფი“ 103736 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 3.5-დან 5.0-მდე, რაც ნიშნავს სართულიანობის განსაზღვრას 13 სართულამდე ანუ მოხდება მხოლოდ სამი სართულის დამატება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

35. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ტაგი გრუპის“ (ს/ნ.: 405406145) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ (ს/კ.: N01.10.08.006.627) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების

გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ტაგი გრუპი“ 56152 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 2.5-დან 3.4-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

36. „ქ.თბილისში, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ.: N01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ.N49 (ს/კ.: N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ.: N01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ.: N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ.: N01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ.: 204531499), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 202446246) და შპს „იქსმშენ დეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია მცირე ტექნიკური დაზუსტებები. კერძოდ, განაშენიანების რეგულირების გეგმას კ2 კოეფიციენტი მინიჭებული ჰქონდა 8.5, თუმცა, დეტალური პროექტირების ეტაპზე, საჭირო გახდა მისი გადანაწილება სხვადასხვა საკადასტროებზე, კერძოდ: ერთ შემთხვევაში კ2 კოეფიციენტი 8.5-დან შემცირდება 4.4-მდე, ხოლო მეორე შემთხვევაში კ2 კოეფიციენტი 8.5-დან გაიზრდება 9.9-მდე, რაც არ ცვლის საერთო კვადრატულობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

37. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-სა და საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობა არის 25%, ხოლო სპეციალური ზონალური შეთანხმებით შესაძლებელია საცხოვრებელი ფუნქციის არსებობა არაუმეტეს შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის 90%-სა. წარმოდგენილი ცვლილებით, ზემოთ ხსენებულ ფუნქციურ ზონებში, საცხოვრებელი ფუნქციის 90%-ით განსაზღვრისთვის დაწესდება მაკომპენსირებელი ღონისძიებები, კერძოდ, მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში გადაეცემა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით, რაც, მისი თქმით, ხელს შეუწყობს იმას,

რომ, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ტერიტორიები შეიძლება განვითარდეს არა კ2 კოეფიციენტის 3.5-ის მაჩვენებლით, არამედ 2.5-ის მაჩვენებლით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

38. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-03211909-03 თარიღი: 09.07.2021, N12-03211941-03 თარიღი: 13.07.2021, N12-03211951-03 თარიღი: 14.07.2021 და N12-03211952-03 თარიღი: 14.07.2021, რომელთაგან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას უარი უნდა ეთქვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-03211909-03 წერილით წარმოდგენილ „ა" პოზიციაზე, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

39. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ. N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

40. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.977) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

44. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

45. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

46. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

47. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

48. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი, კვარტალი III-ისთვის ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

49. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

50. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის თამარ მეფის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

51. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

52. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N235 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

53. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 47 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი